

159.98

პიროვნების კონგრუენტული პროფესიული არჩევანის როლი სტუდენტთა აკადემიურ მიღწევებში

დოლიძე სოფიო

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ანოტაცია

სტატიაში წარმოდგენილი კვლევის მიზანია, შევისწავლოთ პიროვნების კონგრუენტული პროფესიული არჩევანის როლი სტუდენტთა აკადემიურ მიღწევებში. კონგრუენტული პროფესიული არჩევანთან ერთად, აკადემიური მიღწევების პრედიქტორებად განვიხილავთ სტუდენტის აკადემიური უნარებსა და სიბეჯითეს (მის მიერ სწავლაზე დახარჯულ ძალისხმევას); კვლევის შედეგების თანახმად, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლის ვარიაციულობის მხოლოდ 14% შეიძლება აიხსნას აკადემიური უნარებითა და სწავლაზე დახარჯული ძალისხმევით, თუმცა ეს მაჩვენებელი 25%-მდე იზრდება იმ სტუდენტების შემთხვევაში, რომლებმაც პროფესია საკუთარი პიროვნული ტიპის შესაბამისად აირჩიეს. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ პროფესიის არასწორად არჩევის შემთხვევაში სტუდენტს მეტი ძალისხმევის დახარჯვა უხდება სწავლის პროცესში წარმატების მისაღწევად.

საკვანძო სიტყვები: პროფესიის კონგრუენტულობა, აკადემიური მიღწევა, აკადემიური უნარები, სიბეჯითე.

შესავალი

ყოველდღიურად ათასობით ადამიანი ეძებს პასუხს კარიერის არჩევანთან დაკავშირებულ კითხვებზე. კარიერული ორიენტაცია მათ ღირებულებებისა და სურვილების გათვალისწინებით, საკუთარი უნარების, შესაძლებლობების და ინტერესების აღმოჩენაში, გააზრებასა და სათანადოდ გამოყენებაში ეხმარება (UNESCO, 2000). XXI საუკუნეში ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებას თან ახლავს სამუშაოს შინაარსისა და სამუშაო ძალაში მუდმივი ცვლილებები, რაც კარიერის სწორად დაგეგმვას კრიტიკულ მნიშვნელობას ანიჭებს. კარიერული კონსულტაცია იდეალური პროფესიული გადაწყვეტილების მიღების გარანტიას არ იძლევა, თუმცა, სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, ადამიანის ინდივიდუალური მახასიათებლების შესწავლით და გარემო ფაქტორების გათვალისწინებით, ახალგაზრდას მისთვის საუკეთესო პროფესიულ არჩევანს სთავაზობს. კარიერის სწორად არჩევის ინდივიდუალური დადებითი შედეგები (მაღალი შრომითი მოტივაცია, სამუშაოში ჩართულობა, პროფესიული და პიროვნული განვითარება) უფრო მასშტაბურ – სახელმწიფო დონეზეც დადებით შედეგებს განაპირობებს (საკუთარი თავის შეცნობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საშუალებით ინდივიდს შეუძლია უფრო სასარგებლო და ეფექტიანი გახდეს საზოგადოებისთვისაც).

პროფესიის არჩევის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო დიდი ხანია მთელს მსოფლიოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კარიერული სერვისების განვითარებას. უკანასკნელ პერიოდში კარიერული კონსულტირების სფეროსადმი ინტერესი გაიზარდა **საქართველოშიც**, თუმცა კარიერული კონსულტაციის ინსტიტუციონალური ფორმები დღემდე არსებითად ვერ განვითარდა; მწირია სისტემური, სინქრონიზებული პროექტები და აქტივობები, სამეცნიერო თუ გამოყენებითი კვლევები, რომლებიც ამ სფეროს რეალურ განვითარებას შეუწყობს ხელს. ეს კვლევა ამ დანაკლისის შევსების მოკრძალებული მცდელობაა.

მეცნიერები და პრაქტიკოსები თანხმდებიან, რომ რომ კარიერული წარმატების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა პროფესიის სწორად არჩევაა. პროფესიის სწორად არჩევა ნიშნავს პროფესიული საქმიანობის იმ სფეროს განსაზღვრას, სადაც ადამიანი საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას ყველაზე უკეთ მოახერხებს. პროფესიის გააზრებულად არჩევაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული წარმატებები პროფესიულ საქმიანობაში, შრომითი მოტივაცია და კმაყოფილების დონე (ქირია, გ., 2007).

განსხვავებით კარიერის ტრადიციული კონცეფციისგან, რომლისთვისაც კარიერა შემოიფარგლება ერთ პროფესიაში/ორგანიზაციაში ადამიანის სამუშაო აქტივობით, კარიერის თანამედროვე კონცეფციების მიხედვით, **სასწავლო მიმართულების არჩევა ძალზე მნიშვნელოვან კარიერულ ნაბიჯად მიიჩნევა**. უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პროცესი კარიერისთვის მზადების ეტაპად აღარ განიხილება, ის **თავისთავად არის კარიერის განვითარების მნიშვნელოვანი საფეხური**. ამ საფეხურზე წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა იყო ჩვენი მიზანი; კერძოდ, ჩვენი გვაინტერესებდა რა გავლენას ახდენს პიროვნების კონგრუენტული პროფესიის/სასწავლო მიმართულების არჩევა სტუდენტის აკადემიურ მიღწევაზე.

პირველ რიგში განვმარტოთ, რა იგულისხმება კონგრუენტულ პროფესიულ არჩევანში. კარიერის განვითარების ფაქტობრივად ყველა თეორიის ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატი ისაა, რომ კარიერის დაგეგმვისა და განვითარების პროცესი უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უნარების, შესაძლებლობების, ღირებულებების, ინტერესების, პიროვნული მახასიათებლების შეფასებას (Brown, D., 2002), ანუ პროფესიასთან დაკავშირებული მოთხოვნები, ღირებულებები უნდა შეესაბამებოდეს ინდივიდს უნარებს, პიროვნულ თავისებურებებს, შრომით ღირებულებებს. ინდივიდები მათი ღირებულებებისა და პიროვნების ტიპის შესაბამის, კონგრუენტულ სამუშაო გარემოს ეძებენ. ისინი თავს კომფორტულად და ბედნიერად იგრძნობენ შესაფერის გარემოში; მოსალოდნელია, რომ პიროვნებისა და გარემოს კონგრუენტულობა შედეგად უფრო სტაბილურ პროფესიულ არჩევანს, მაღალ პროფესიულ და აკადემიურ მიღწევებს, პიროვნული სტაბილურობის შენარჩუნებასა და მეტ კმაყოფილებას მოიტანს (Brown, D., 2002).

კარიერის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორიის ავტორის, ჯონ ჰოლანდის მიხედვით, კარიერაში წარმატებისა და კმაყოფილების მისაღწევად საჭიროა პიროვნების შესაბამისი, კონგრუენტული, პროფესიის არჩევა. პროფესიული არჩევანის უპირველეს ფაქტორს ინდივიდის პიროვნება წარმოადგენს. პიროვნების ტიპი ვითარდება თანდაყოლილი მახასიათებლების, გამოცდილების დაგროვების პროცესში ნანახი ან

განხორციელებული აქტივობების და ამ აქტივობებისგან განვითარებული ინტერესებისა და კომპეტენციების შედეგად.

ჰოლანდი გვთავაზობს პიროვნების ტიპებს, რომლებიც „წმინდა“ სახით იშვიათად თუ გვხვდება რეალობაში. ესენია: (1) რეალისტური, (2) კვლევითი, (3) შემოქმედებითი, (4) სოციალური, (5) ინიციატივიანი და (6) საკანცელარიო. ადამიანის მიკუთვნება რომელიმე ტიპისთვის მის მიერ გამოხატული ან დემონსტრირებული პროფესიული ან საგანმანათლებლო ინტერესების, სამუშაოს, ან კითხვარების (მაგ., ჰოლანდის თვითსაკვლევის) შევსების შედეგად მიღებული ქულების საფუძველზე შეიძლება. პიროვნება ექვსივე ტიპის მიხედვით აღიწერება, თუმცა ყველაზე მეტ ინფორმაციას პირველი სამი უმაღლესი ქულის მქონე ტიპი გვაძლევს. აქედან გამომდინარე, პიროვნების ტიპის შეფასების შედეგია სამასოიანი კოდი (მაგ., სში), რომელიც ცნობილია „ჰოლანდის კოდის“ სახელით.

ჰოლანდი, აგრეთვე, აღწერს ექვს სამუშაო გარემოს (რეალისტური, კვლევითი, შემოქმედებითი, სოციალური, ინიციატივიანი, საკანცელარიო), რომლებიც პიროვნების ტიპების ანალოგიურია. სამუშაო გარემოსთვის კოდის მინიჭება ეფუძნება ამა თუ იმ სამუშაო გარემოში მომუშავე ინდივიდების პიროვნულ ტიპებს, მათ პიროვნულ კოდს. შრომითი კმაყოფილებისა და მიღწევების მაქსიმალურად გასაზრდელად ინდივიდმა თავისი პიროვნების შესაბამისი/კონგრუენტული სამუშაო გარემო უნდა შეარჩიოს.

პროფესიული არჩევანის კონგრუენტულობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა *კოგნიტურ უნარებს* ენიჭება. არაერთი კვლევა ადსტურებს, რომ კოგნიტური უნარები აკადემიური და პროფესიული წარმატების მნიშვნელოვანი პრედიქტორია. ინფორმაციის ადეკვატურად დამუშავების, ლოგიკური მსჯელობის, მოვლენათა შორის არსებითი მიმართებების წვდომის უნარები არის ცხოვრებისეულ მოთხოვნებზე სათანადოდ რეაგირებისა და გარემოსთან ადამიანის ადაპტირების საფუძველი, შესაბამისად, ნებისმიერი ინტელექტუალური (აკადემიური თუ პროფესიული) საქმიანობის წარმატება მათზეა დამოკიდებული. ზოგადი კოგნიტური უნარების ტესტირება უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტების შესაძლო წარმატებათა პროგნოზირების საშუალებას წარმოადგენს, სწორედ ამიტომ არაერთ ქვეყანაში უმაღლესი სასწავლებლებისთვის სტუდენტთა შერჩევის სისტემა ეყრდნობა აპლიკანტთა კოგნიტური უნარების შეფასებას (შვედეთი, ამერიკა, ისრაელი, საქართველო) და, როგორც კვლევები აჩვენებს, კოგნიტური უნარების შეფასება საკმაოდ ინფორმატიულია პროფესიული წარმატებების თვალსაზრისითაც (Sternbeg R., 2001; Ree M., 1994).

კონგრუენტული პროფესიული არჩევანი წარმოუდგენელია პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე. აკადემიური და პროფესიული მიღწევების განმაპირობებელი ფაქტორების კვლევის შედეგებიც კონსისტენტურად მიუთითებენ *პიროვნული მახასიათებლების მნიშვნელობაზე*. კერძოდ, აკადემიური მიღწევის ყველაზე სანდო პრედიქტორად დიდი ხუთეულის კეთილსინდისიერების ფაქტორი მიიჩნევა (Komarraju et al. 2009). ამ თვალსაზრისს ეხმიანება დიდ ბრიტანეთში 2003 წელს ჩატარებული კვლევა (T. Chamorro-Premuzic, A. Furnham, 2003), რომლის თანახმად, კეთილსინდისიერების ფაქტორით აკადემიური მიღწევების ვარიაციის 28% აიხსნება. მიღებული მონაცემებით სიბეჯითე აკადემიური მოსწრების უკეთესი პრედიქტორია,

ვიდრე ინტელექტი. კეთილსინდისიერების ფაქტორი თვითდისციპლინირებულობას, ორგანიზებულობასა და სიბეჯითეს მოიცავს (Costa & McCrae, 1985).

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, კონგრუენტული პროფესიული არჩევანი, პიროვნული მახასიათებლები და კოგნიტური უნარები ურთიერთდაკავშირებული კონსტრუქტებია; ჩვენ შევეცდებით, აკადემიურ მიღწევებთან მიმართებაში გავაანალიზოთ განხილული კონსტრუქტები.

აკადემიური მიღწევების, სასწავლო კარიერის წარმატების შეფასების ერთ-ერთი ძირითადი ობიექტური კრიტერიუმი სხვადასხვა სასწავლო საგანში მიღებულ შეფასებათა საშუალო მაჩვენებელია (grade point average). სწორედ ის შევარჩიეთ ჩვენს კვლევაში აკადემიური წარმატების ინდიკატორად. ამასთან, კვლევაში აკადემიური მიღწევების პრედიქტორად ავირჩიეთ არა პიროვნული მახასიათებელი - კეთილსინდისიერება, არამედ უფრო კონკრეტული ქცევითი პატერნი - სიბეჯითე (მისი ოპერაციოალიზაცია იხ. ქვემოთ).

ამგვარად, ჩვენი საკვლევი ცვლადებია *პროფესიის კონგრუენტულობა, აკადემიური მიღწევა, აკადემიური უნარები და სიბეჯითე*. კვლევის ძირითად მიზანი იმის დადგენაა: 1. ახდენს თუ არა გავლენას პიროვნების კონგრუენტული პროფესიული არჩევანი აკადემიურ მიღწევაზე, და 2. როგორია ურთიერთმიმართება აკადემიურ მიღწევას, აკადემიურ უნარებსა და სიბეჯითეს შორის კონგრუენტული და არაკონგრუენტული არჩევანის შემთხვევაში.

კვლევის აღწერა

კვლევის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, დავსახეთ შემდეგი ამოცანები:

- იმის შეფასება, გააკეთა თუ არა სტუდენტმა თავისი პიროვნების ტიპის შესაბამისი/კონგრუენტული არჩევანი;
- სტუდენტის აკადემიური მოსწრების ინდიკატორის შერჩევა;
- სტუდენტის აკადემიური უნარების ინდიკატორის შერჩევა;
- იმის შეფასება, თუ რა ძალისხმევას ხარჯავს სტუდენტი სწავლაზე.

კვლევისას, ძირითადად, ვხელმძღვანელობდით, შემდეგი ჰიპოთეზებით:

- სტუდენტებს, რომლებმაც თავისი პიროვნების კონგრუენტული პროფესიული არჩევანი გააკეთეს, უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები აქვთ, ვიდრე სტუდენტებს, რომლებმაც არაკონგრუენტული პროფესია აირჩიეს.
- აკადემიური მიღწევა პოზიტიურ კორელაციაშია აკადემიურ უნარებთან და სიბეჯითესთან. ეს კორელაცია უფრო ძლიერია იმ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტები პიროვნების კონგრუენტულ პროფესიას ირჩევენ.

შერჩევა

კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისის 10-მდე სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 170-მა სტუდენტმა. კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა უმრავლესობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო (46,5%). დაახლოებით თანაბარი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი სხვა სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტების სტუდენტები (ილიას უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი და ა.შ.).

170 სტუდენტიდან 68 პირველი კურსის სტუდენტი იყო, ხოლო 102 - მეოთხე კურსის სტუდენტი.

სტუდენტების სქესის პროცენტული განაწილება შემდეგია: მამრობითი სქესი – 57 რესპოდენტი (34%); მდედრობითი სქესი – 113 რესპოდენტი (66%).

კვლევისთვის მონაცემთა შეგროვებისა და მონაცემთა ბაზის შექმნის პროცესს წარმართავდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მიმართულების მაგისტრანტი, თეონა ჯავაშვილი, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით.

კვლევის ინსტრუმენტები

ჩვენი მთავარი საკვლევი ცვლადი პიროვნების კონგრუენტული პროფესიული არჩევანია. კონგრუენტული პროფესიული არჩევანის შესაფასებლად გამოვიყენეთ ჰოლანდის თვითსაკვლევის ქართული ვერსია (ქირია, გ., 2007). თვითსაკვლევი არის თვითშეფასებაზე დაფუძნებული პროფესიულ-საკონსულტაციო ინსტრუმენტი, რომელსაც საფუძვლად უდევს ჰოლანდის „პიროვნული ტიპებისა და გარემოს მოდელების თეორია“ (Holland, 1992). ეს მსოფლიოში პროფორიენტაციის ერთ-ერთი ყველაზე აპრობირებული და გამოყენებადი ინსტრუმენტია.

ჰოლანდის თვითსაკვლევი წარმოდგენილია ოთხი სკალა: პროფესიები, შესაბამისი აქტივობები, უნარები და თვითშეფასება, რომლებიც თანაბრადაა განაწილებული ექვს ტიპს შორის - რეალისტური, კვლევითი, შემოქმედებითი, სოციალური, ინიციატივიანი ან საკანცელარიო. თვითსაკვლევის გამოყენებით შესაძლებელია ადამიანთა კატეგორიზაცია ამ ექვსი პიროვნული ტიპის მიხედვით.

კვლევის პროცესში შევამოწმეთ ქართული ვერსიის სკალების სანდოობის მაჩვენებლები - შინაგანი შეთანხმებულობის კოეფიციენტები. ოთხივე სკალა მაღალი შინაგანი შეთანხმებულობით გამოირჩევა და სანდოდ ზომავს შესაბამის კონსტრუქტს.

სკალა	კრონბახის α	დებულებების რაოდენობა	საშუალო	სტანდარტული გადახრა
საქმიანობა	.912	66	32.77	12.18
უნარები	.914	66	37.48	11.54
პროფესიები	.960	84	31.18	18.66
თვითშეფასება	.886	30	157.14	41.53

ოთხივე სკალის მონაცემთა დაჯამების შედეგად მიიღება ადამიანის პიროვნული კოდი. ის სამი ასოსგან შედგება, რომლებიც ადამიანის ინტერესების, უნარებისა და მიდრეკილებების შესაბამის სამ ძირითად სფეროს ასახავს.

ჰოლანდი სამუშაო სფეროებსაც/პროფესიებსაც ექვსი ტიპის მიხედვით ახასიათებს. მის მიერ შექმნილ პროფესიათა კლასიფიკატორში ყოველ პროფესიას შეიძლება მიესადაგოს გარკვეული კოდი. იმისათვის, რომ დავადგინოთ, აირჩია თუ არა ადამიანმა მისი პიროვნული ტიპისთვის კონგრუენტული პროფესია, მისი პიროვნული კოდი უნდა შევადაროთ მის მიერ არჩეული პროფესიის შესაძლო კოდს (კლასიფიკატორის მიხედვით). ჩვენი კვლევის ფარგლებში პიროვნული და პროფესიული კოდების თანხვედრას ორი ექსპერტი აფასებდა.

სტუდენტთა აკადემიური მიღწევის ინდიკატორად გამოვიყენეთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში ყველა საგანში მიღებული შეფასებების საშუალო მაჩვენებელი (gpa).

აკადემიური უნარების ინდიკატორად შევარჩიეთ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების ტესტში მიღებული ქულა. ზოგადი უნარების ტესტი აფასებს სხვადასხვა სახით წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავების, გააზრების უნარს. ის შესაბამისი ნაწილების მეშვეობით ზომავს აკადემიური ცოდნის შესაძენად საჭირო ვერბალურ და რაოდენობრივ უნარებს. ზოგადი უნარების ტესტირება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 2005 წლიდან ხდება. ტესტის სანდოობის მაჩვენებლები (კრონბახის α) სხვადასხვა წელს მერყეობს 0.92-სა და 0.95 შორის.

სიბეჯითის საკვლევად შევქმენით მცირე კითხვარი ტესტის კონსტრუირების ინდუქციური მეთოდით (Amelang, M., 2001). სიბეჯითის ოპერაციონალიზაციის საფუძველზე ჩამოყალიბებული 12 დებულებიდან საბოლოოდ კითხვარში დარჩა 8 დებულება. დებულებები სწავლაზე დახარჯულ ძალისხმევასა და დროს, სასწავლო ვალდებულებების შესრულებას და ა.შ. შეეხება. კითხვარის შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი უდრის 0.72.

ზემოთ მითითებული ინდიკატორებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით ვიკვლიეთ პიროვნების კონგრუენტული პროფესიული არჩევანის გავლენა აკადემიური მიღწევის, აკადემიური უნარებისა და სიბეჯითის ურთიერმიმართებაზე.

კვლევის შედეგები

კვლევის მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების პროცესში გამოვიყენეთ პირსონის კორელაციის კოეფიციენტი, პარციალური (ნაწილობრივი) კორელაციური ანალიზი, ჯგუფებს შორის საშუალო მაჩვენებელთა შედარება (t კრიტერიუმში), მრავლობითი რეგრესიული ანალიზი.

ძირითადი საკვლევი ცვლადების საშუალო მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში:

	საშუალო	სტანდარტული გადახრა	მინიმუმი	მაქსიმუმი
პროფესიის კონგრუენტულობა	.7647	.42544	0	1
აკადემიური მიღწევა	2.6142	.66918	1.02	4.00
აკადემიური	58.43	11.523	30	85

უნარები				
სიბეჯითე	5.1294	2.13889	0	8

როგორც ცხრილიდან ჩანს, რესპონდენტთა უმრავლესობას პიროვნების კონგრუენტული პროფესია აქვს არჩეული. როგორც აკადემიური მიღწევის, ისე აკადემიური უნარებისა და სიბეჯითის საშუალო მაჩვენებლები თეორიულ საშუალოზე მაღალია.

უწყვეტ ცვლადებს შორის კორელაციის დასადგენად გამოვიყენეთ პირსონის კორელაციის კოეფიციენტი. აღმოჩნდა, რომ სტუდენტთა აკადემიური მიღწევის მაჩვენებელი სტატისტიკურად მნიშვნელოვან პოზიტიურ კორელაციაშია როგორც აკადემიური უნარების ($r = .245, p < 0.01$), ისე სიბეჯითის მაჩვენებელთან ($r = .203, p < 0.01$). მაშასადამე, რაც უფრო მაღალი აკადემიური უნარები აქვს სტუდენტს და რაც უფრო მეტ ძალისხმევას ხარჯავს ის სწავლაზე, მით უფრო მაღალია მისი აკადემიური მოსწრება. ეს შედეგი ლოგიკურად ეხმიანება ზემოთ მოყვანილ კვლევებს მიღწევების, უნარებისა და გარკვეული პიროვნული მახასიათებლების ურთიერთმიმართების შესახებ.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ კავშირი აღნიშნულ ცვლადებს შორის ძლიერდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს თავისი პიროვნების ტიპის კონგრუენტული პროფესია აქვს არჩეული.

<i>კონგრუენტული არჩევანი</i>	აკადემიური უნარები	სიბეჯითე
აკადემიური მიღწევა	.317 $p < 0.01$.294 $p < 0.01$

იმ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტი მისი პიროვნებისთვის არაკონგრუენტულ პროფესიულ მიმართულებაზე სწავლობს, აკადემიური უნარები და სიბეჯითე აღარ უკავშირდება აკადემიურ მიღწევის მაჩვენებელს.

<i>არაკონგრუენტული არჩევანი</i>	აკადემიური უნარები	სიბეჯითე
აკადემიური მიღწევა	.045 $p = .785$	-.113 $p = .489$

მაშასადამე, თუკი ადამიანი თავის ძალისხმევასა და უნარებს წარმართავს მისთვის საინტერესო მიმართულებით განვითარებისკენ, წარმატების მიღწევის მეტი ალბათობა აქვს.

კორელაციური ანალიზის შედეგად ერთი საგულისხმო ტენდენცია გამოიკვეთა, კერძოდ, დაფიქსირდა უარყოფითი კორელაცია აკადემიურ უნარებსა და სიბეჯითეს შორის ($r = -.317, p < 0.01$). ეს კორელაცია კიდევ უფრო ძლიერია პიროვნების არაკონგრუენტული პროფესიის არჩევისას ($r = -.493, p < 0.01$). ის ნარჩუნდება პიროვნების ტიპის შესაბამისი პროფესიის არჩევის შემთხვევაშიც, თუმცა შედარებით მცირდება ($r = -.264, p < 0.01$). ეს ნიშნავს, რომ რაც უფრო კარგად აქვს ადამიანს განვითარებული სააზროვნო უნარები, მით ნაკლებ ძალისხმევას ხარჯავს ის სწავლაზე. ამის ახსნა შეიძლება

ზოგადი უნარების ტესტის დანიშნულების გათვალისწინებით - ზოგადი უნარების ტესტი აფასებს, რამდენად სხარტად და ადეკვატურად ამუშავენ ადამიანი ახალ ინფორმაციას. სტუდენტები, რომლებსაც ამ ტესტში მაღალი ქულები აქვთ მიღებული, სწრაფად უმკლავდებიან ახალ მასალას და აღარ უწევთ სწავლაში წარმატების მისაღწევად დიდი ძალისხმევისა და დროის დახარჯვა, და, პირიქით.

კვლევის ფარგლებში შევასეთ ე. წ. კონგრუენტულ და არაკონგრუენტულ ჯგუფებს შორის სხვაობები აკადემიური მიღწევის, აკადემიური უნარებისა და სიბეჯითის მიხედვით t კრიტერიუმით. ჩვენი ვარაუდით, იმ სტუდენტებს, რომლებიც საკუთარი ინტერესებისა და მიდრეკილებების შესაბამის პროფესიას ეუფლებიან, უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება უნდა ჰქონოდათ, ვიდრე მათ, ვინც არ სწავლობს თავისი პიროვნული ტიპის შესაბამის მიმართულებაზე. როგორც ცხრილიდან ჩანს, ეს ვარაუდი არ გამართლდა.

	საშუალო მაჩვენებლები	t
აკადემიური მიღწევა		
კონგრუენტული ჯგუფი	2.5945	.691
არაკონგრუენტული ჯგუფი	2.6783	p = .491
აკადემიური უნარები		
კონგრუენტული ჯგუფი	58.78	-.724
არაკონგრუენტული ჯგუფი	57.28	p = .470
სიბეჯითე		
კონგრუენტული ჯგუფი	4.9385	2.120
არაკონგრუენტული ჯგუფი	5.7500	p = .035

ე. წ. კონგრუენტულ და არაკონგრუენტულ ჯგუფებს შორის განსხვავება აკადემიური მიღწევის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით არ ფიქსირდება. და ეს ალბათ იმის ხარჯზე ხდება, რომ განსხვავება არსებობს სიბეჯითის საშუალო მაჩვენებლებს შორის - არაკონგრუენტული ჯგუფის სიბეჯითის საშუალო უფრო მაღალია, ვიდრე კონგრუენტულისა - და ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. სავარაუდოდ, მსგავსი აკადემიური უნარების პირობებში (რასაც ანალიზი ადასტურებს) სტუდენტებს, რომლებიც მათთვის ნაკლებად საინტერესო პროფესიულ მიმართულებაზე სწავლობენ, მეტი სიბეჯითის გამოჩენა და სწავლაზე მეტი ძალისხმევის დახარჯვა უწევთ, რომ აკადემიური მიღწევის ისეთივე მაჩვენებლები ჰქონდეთ, როგორც კონგრუენტული ჯგუფის სტუდენტებს აქვთ.

ცვლადებს შორის კაუზალური კავშირის შესაფასებლად გამოვიყენეთ სტანდარტული მრავლობითი რეგრესიული ანალიზი. დავინტერესდით, რამდენად შესაძლებელია სტუდენტის აკადემიურ მიღწევის პრედიქტორებად ზოგადი უნარებისა და სიბეჯითის გამოყენება. რეგრესიული ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ მთლიან შერჩევაში აკადემიური უნარებითა და სიბეჯითით აიხსნება აკადემიური მიღწევის ვარიაციულობის 15%-მდე ($R^2 = .147$, $F = 14.404$, $p < 0.01$). აკადემიური უნარების წილი დამოკიდებული

ცვლადის ვარიაციაში უფრო დიდია, ვიდრე სიბეჯითისა (აკადემიური უნარების შემთხვევაში $\beta = .343$, ხოლო სიბეჯითის შემთხვევაში $\beta = .312$). შევავსეთ თითოეული ამ ცვლადის უნიკალური წილიც აკადემიურ მოსწრებაში. აღმოჩნდა, რომ აკადემიური უნარების უნიკალური წილი არის დაახლოებით 11% (პაციალური კორელაციის კოეფიციენტი = .326), ხოლო სიბეჯითის უნიკალური წილი - დაახლოებით 8% (პაციალური კორელაციის კოეფიციენტი = .296).

უფრო მეტად დიფერენცირებული სურათის მისაღებად რეგრესიული ანალიზი გამოვიყენეთ ცალ-ცალკე კონგრუენტული და არაკონგრუენტული არჩევანის ჯგუფებში. აღმოჩნდა, რომ კონგრუენტული პროფესიული არჩევანის ჯგუფში აკადემიური უნარები და სიბეჯითე აკადემიური მიღწევის ვარიაბილობის ბევრად უფრო დიდ პროცენტს ხსნის - ამ ჯგუფში $R^2 = .254$ ($F = 21.612$, $p < 0.01$). თუკი აკადემიური უნარებისა და სიბეჯითის უნიკალურ წილს განვიხილავთ, აღმოვაჩინებთ, რომ აკადემიური უნარების შემთხვევაში $\beta = .424$, ხოლო მის მიერ ახსნილი უნიკალური წილი არის დაახლოებით 17%. რაც შეეხება სიბეჯითეს, მისთვის $\beta = .406$ და მისი უნიკალური წილი აკადემიური მიღწევის ვარიაციაში არის დაახლოებით 15%.

როგორც მოსალოდნელი იყო, არაკონგრუენტული პროფესიული არჩევანის ჯგუფში დამოუკიდებელი ცვლადები აკადემიური მიღწევის 1%-აც კი ვერ ხსნიან, რადგან ამ ჯგუფში კორელაცია აკადემიურ მიღწევას, აკადემიურ უნარებსა და სიბეჯითეს შორის არ ფიქსირდება¹.

რეგრესიული ანალიზის შედეგები თითოეული ცვლადის - აკადემიური უნარებისა და სიბეჯითის - უნიკალური წვლილის შესახებ დაადასტურა პარციალურმა (ნაწილობრივმა) კორელაციურმა ანალიზმა: სიბეჯითის ცვლადის გაკონტროლების შემთხვევაში კორელაცია მიღწევასა და უნარებს შორის იზრდება (გაკონტროლებამდე $r = .245$, ხოლო გაკონტროლების შემდეგ $r = .333$). ამის მსგავსად, აკადემიური უნარების გაკონტროლების შემთხვევაში იზრდება კორელაცია მიღწევასა და სიბეჯითეს შორის (გაკონტროლებამდე $r = .203$, ხოლო გაკონტროლების შემდეგ $r = .305$). მაშასადამე, ამ ცვლადებს თავიანთი უნიკალური წვლილი აქვთ აკადემიური მიღწევის ვარიაბილობაში. ეს შედეგი, სავარაუდოდ, იმასაც მიუთითებს, რომ პროფესიის არჩევასა და აკადემიურ მიღწევას შორის კავშირი ამ ცვლადებით არის გაშუალებული.

შეჯამება

კვლევის შედეგად გამოიკვეთა პიროვნების კონგრუენტული პროფესიული არჩევანის მნიშვნელოვანი როლი სტუდენტთა აკადემიურ მიღწევებში, კერძოდ, აღმოჩნდა, რომ აკადემიურ მიღწევას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აკადემიური უნარები და სიბეჯითე, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი მისი პიროვნებისთვის კონგრუენტულ პროფესიას ირჩევს და შეისწავლის. შეუსაბამო პროფესიის არჩევანის პირობებში აკადემიურ უნარებს, სიბეჯითესა და აკადემიურ მოსწრებას შორის კავშირი არ

¹ რეგრესიული ანალიზი გამოვიყენეთ ცალ-ცალკე პირველ და მეოთხეკურსელთა ჯგუფებისთვისაც. ორივე ჯგუფში შენარჩუნებულია ყველა ზემოთ აღნიშნული ტენდენცია, იმ განსხვავებით, რომ პირველკურსელთა შემთხვევაში სიბეჯითის წილი მიღწევის ვარიაბილობაში უფრო მაღალია, ვიდრე უნარებისა, ხოლო მეოთხეკურსელებთან ამ ორი ცვლადის უნიკალური წილი თითქმის თანაბარია.

დასტურდება. მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის მნიშვნელოვანია როგორც მაღალ ინტელექტუალურ პოტენციალი, ისე ადეკვატურ სასწავლო ქცევაც. პროფესიის სწორად არჩევა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სწავლის პროცესში აკადემიურ მიღწევასა და საკუთარი ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენებაზე. მიღებული შედეგი კიდევ ერთხელ გამოკვეთს სწორი პროფესიული არჩევანის როლს კარიერულ წარმატებაში და შეგვახსენებს პროფესიული/კარიერული კონსულტირების სერვისების განვითარების აუცილებლობას.

ვინაიდან კვლევის ერთ-ერთი მთავარი შეზღუდვა მცირე შერჩევა იყო, სამომავლოდ შესაძლებელია ფართომასშტაბიანი კვლევის დაგეგმვა, რომლის ფარგლებშიც ცვლადებს შორის მიმართების უფრო კომპლექსური ანალიზისა (SEM - Structural Equation Modelling) და მოდერაციული და მედიაციური კავშირების შეფასების საშუალება გვექნება. ასევე, საინტერესო იქნება კვლევაში აკადემიური მიღწევების შეფასების სუბიექტური კრიტერიუმების შემოტანაც, რომლებიც კარიერის თანამედროვე კონცეფციების თანახმად, კარიერის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქირია, გ.; პროფორიენტაციის მეთოდური საფუძვლები; მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია 2007
2. Brown, D.; Career Choice and Development, Fourth Edition; Jossey-Bass 2002
3. Sternbeg, Robert G., Grigorenko Elena, Bundy, Donald A.; The Predictive Value of IQ; Merrill-Palmer Quarterly, Volume 47, Number 1, January 2001
4. Ree, M. J., Earles, A. J., Teachout, M. S.; Predicting Job Performance: Not Much More Than g; Journal of Applied Psychology 1994. Vol. 79, No. 4
5. Komarraju, M., Karau, S. J., Schmeck, R.; Role of the Big Five personality traits in predicting college students' academic motivation and achievement; Learning and Individual Differences 19 (2009)
6. Chamorro-Premuzic T., Furnham A.; Personality traits and academic examination performance; European Journal of Personality, 2003.
7. Farr, M.; Overnight Career Choice; JIST Publishing 2006
8. Baruch, Y.; Career Development in Organizations and beyond: Balancing Traditional and Contemporary Viewpoints; Human Resource Management Review 2006
9. Reardon, R. C., Lenz, J. G.; Hollands Theory and Career Assessment; Journal of Vocational Behavior 1999
10. Amelang, M., Zielinski, W., Psychologische Diagnostik und Intervention, Springer Verlag, 2001.

Article received 2017-10-22